სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

2016 წლის მეოთხე კვარტლის

ანგარიში

2016 წლის მეოთხე კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა ოთხი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 223 მსმენელი. აქედან, 112 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 111 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

223 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 136 ქალი და 87 მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 154 მსმენელი; 50 წლამდე - 64 მსმენელი; 65 წლამდე - 5 მსმენელი.

2016 წელს, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სერტიფიკატის სამი კატეგორია. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **19 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **152 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **49 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **3 მსმენელი;**

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (223 -დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 216 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:

ძალიან კარგი - **178 მსმენელი; 82.4 %**

კარგი - **38 მსმენელი; 17.6 %**

არადამაკმაყოფილებელი - **0 %**

2. მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:

ძალიან წარმატებული - **90 მსმენელი; 41.6 %**

წარმატებული - **126 მსმენელი; 58.4 %**

წარუმატებელი - **0;**

3. მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:

ნორმალური - **172 მსმენელი. 79.7 %**

ხანგრძლივი - **6 მსმენელი; 2.7 %**

ხანმოკლე - **38 მსმენელი; 17.6 %**

4. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:

აუცილებელია - **125 მსმენელი. 57.9 %**

საჭიროა - **89 მსმენელი; 41.2 %**

არ არის საჭირო - **2 მსმენელი; 0.9 %**

5. ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - **143 მსმენელი; 66.2 %**

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - **70 მსმენელი; 32.4 %**

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - **3 მსმენელი; 1.4 %**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ამოქმედების დღიდან ანუ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გადამზადებულია **1475 (ათასოთხასსამოცდათხუთმეტი)** შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: **669 (ექვსასსამოცდაცხრა) 45.3%** მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო **806 (რვაასექვსი) 54.7%** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია